ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

საერთო კრების ოქმი №9

24 ოქტომბერი, 2015 წელი

კრების ჩატარების ადგილი:

თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. 43

შპს. „პროფკავშირების კულტურის ცენტრი“

დღის წესრიგი:

10:00-12:00 **წევრთა რეგისტრაცია;**

12:00-12:15 **კრების გახსნა;**

12:15-12:30 **ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;**

12:30-13:00 **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიში**

აღმასრულებელი საბჭოს და საგანმანათლებლო საბჭოს მიერ 2015წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.

13:00-13:15 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი.

13:15-13:30 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში

2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლიანა მასიკაშვილი

14:00-14:45 ადვოკატთა ასოციაციის ორდენების მინიჭება.

14:45-15:30 ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

15:30-16:15 ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების დებულებაში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

16:15-17:00 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, ადვოკატის მანტიის

შესახებ მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება.

17:00-18:00 საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" 31 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დარჩენილი ვადით ეთიკის კომისის 2 ადვოკატი წევრის და 3 არა ადვოკატი წევრის არჩევა;

18:30 კრების დახურვა

რეგისტრაცია დაიწყო 10:00 საათზე და კრების გახსნის დროს 12:00 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 290 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ", 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, დაიწყო ხელახალი რეგისტრაცია და 1:00 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობა იყო 292.

კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - ზაზა ხატიაშვილის მისასალმებელი სიტყვით.

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის კანდიდატები: 1. დავით ცინცქილაძე; 2.მაია ოთარაშვილი; 3.ნათია თავზელაშვილი; 4. მევლუდ ჩოფლიანი; 5.ნანული დარსანია; 6.სოსო ჯოგლიძე; 7.მარინა ადეიშვილი; 8.ლაშა მჭედლიშვილი; 9.თამარ ჯაფარიძე; 10.თენგიზ თევზაძე; 11.ლევან ჭიღლაძე; 12. იანა პალიანი; 13.ონისე მარგიანი; 14.მზია თომაშვილი; 15. ნინო ნინოშვილი

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგებით კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი. წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი არავის შეუკავებია. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომიისის მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ონისე მარგიანი.**

პირველი საკითხი:

მოისმინეს:

კრების თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ აღმასრულებელი საბჭოს წევრების ერთიანი ძალისხმევის და ინტენსიური მუშაობის შედეგად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ასოციაციის საერთაშორისო პარტნიორული სივრცის და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაფართოვება/განმტკიცების მიზნით, კერძოდ: მ/წ 30 მაისს, ქალაქ გდანსკში, პოლონეთში, CCBE-ს პლენარული სესიის ფარგლებში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, CCBE-ს და პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭო (CCBE) არის მაღალი რეიტინგის ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 35 ევროპის ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციას და წარმოადგენს მილიონზე მეტი ადვოკატის ინტერესს. იგი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერი პარტიორია, რომელთანაც ასოციაცია, დამკვირვებლის სტატუსით, აქტიურად თანამშრომლობს 2008 წლიდან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და უკრაინის ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი;

გამყარდა ურთიერთობები საერთაშორისო არასამათავრობო ორგანიზაციებთან: მ/წ 2 ივნისს, ევროპის საბჭოს ორგანიზებით, ევროკავშირის და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ ოფიციალური გახსნითი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა ადვოკატთა ასოციაციის გამოწვევებზე, რეფორმებზე და საქართველოში ადვოკატის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. პროექტი არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის 2014 წელს დადებული შეთანხმების ნაწილი, რომლის ძირითადი მიმართულებებია: საკანონმდებლო ბაზის, ასოციაციის ეთიკის კომისიისა და რეგულაციების მუშაობის დახვეწა, განგრძობადი იურიდიული განათლების ხელშეწყობა, საკვალიფიკაციო გამოცდის ფორმატის დახვეწა.

მიმდინარე წლის განმავლობაში ასოციაციის უშუალოდ თავმჯდომარის მიერ წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო ვიზიტები (29-30 მაისი - პოლონეთი, 12-14 თებერვალი- ვენა, 9 სექტემბერი- სტრასბურგი, 17-18 სექტემბერი - ბერლინი), სადაც, საერთაშორისო დონეზე იქნა გაჟღერებული ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური დაცვის პრობლემური საკითხები, იურიდიულ პროფესიაში არსებული გამოწვევები; ხაზი გაესვა ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის ფაქტებს; ამ მხრივ, აღსანიშნავია, უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერა; განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების და მაღალი პროფესიული სტანდარტის შენარჩუნებისთვის ასოციაციის მიერ განხორციელებული აქტივობები; დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. თავმჯომარეჯმ დასძინა, რომ აღნიშნული საკითხები აქტიურად იქნა გახმოვანებული ადგილობრივ დონეზეც, წლის განმავლობაში მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე.

თავმჯოდმარემ აღნიშნა, რომ ასოციაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადვოკატთა განათლება. ამ მიზნით, მ/წ 12 ოქტომბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატთა ასოციაციისთვის ახალი საოფისე ფართის შეძენის თაობაზე (მდებარე, ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 33, ალ.ჭავჭავაძის 8, ბინა #16, 112 კვ.მ), სადაც, შესაბამისი ტექნიკური და საოფისე ინვენტარით აღჭურვის შემდეგ, ჩატარდება ფართომასშტაბიანი ღონისძიებები და ეს იქნება ახალი, კომფორტული სივრცე ადვოკატებისთვის.

თავმჯდომარემ ისაუბრა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა რომ 2015 წელს, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ჩატარდა 305 ტრენინგი.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ადვოკატებისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო ღონისძიებები 60 სხვადასხვა თემაზე.

სასწავლო ცენტრი აგრძელებს ტრენინგების ორგანიზებას, განგძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ა.წ 20 დეკემბრამდე და აძლევს ადვოკატებს შესაძლებლობას აიმაღლონ კვალიფიკაცია მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრებით და დააგროვონ სავალდებულო კრედიტ–საათები.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც 2015 წლის ბოლომდე დაახლოებით, 250 ადვოკატი გადამზადდება მთელი საქართველოს მასშტაბით. 20 და 21 ოქტომბერს სპეციალიზირებული კურსების ჩატარება უკვე დაიწყო ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში, კურსებში მონაწილეობა მიიღო 50–მა ადვოკატმა.

2015 წლის გაზაფხულზე ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია ადვოკატთა ელექტრონულ საკვალიფიკაციო გამოცდას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 600–მა აპლიკანტმა. გამოცდა ჩააბარა მონაწილეთა 27–მა პროცენტმა. შემოდგომის გამოცდებზე დარეგისტრირებულია 703 აპლიკანტი.

2015 წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე:
აკრედიტაცია გაიარა 50–მდე საგანამანთლებლო ღონისძიებამ. შემუშავდა სტაჟირების სისტემის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს, პროფესიაში მიღების სტანდარტებისა და წესების დადგენას. სტაჟირების სისტემა მიზნად ისახავს, იურისტთა გადამზადებას ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებამდე, სპეციალური საგანმანათლებლო პროგრმებისა და პრაქტიკული სწავლების – სტაჟირების კომპონენტების გათვალისწინებით.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიშები აღმასრულებელი საბჭოს და საგანმანათლებლო საბჭოს მიერ 2015 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეორე საკითხი:

მოისმინეს: ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ-ციცინო ცხვედიანმა კრებას წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. მან კრებას მიაწოდა ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების, კომისიის მიერ განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ:

2015 წლის 22 ოქტომბრის მონაცემებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში რეგისტრირებულია 75 საჩივარი. ანგარიშის შედგენის მომენტისათვის წინა წლებიდან ნაშთის სახით გადმოსული 64 საქმის გათვალისწინებით 80 საქმეზე წარმოება დასრულებულია. საქმეთა განხილვის მიზნით საპროცესო საქმეებზე ჩატარებულ სხდომათა რიცხვი შეადგენს - 134-ს, ხოლო განხილვის საქმეებზე ჩატარდა 39 სხდომა.

2015 წლის განმავლობაში, ეთიკის კომისიაში საჩივრები წარმოდგენილია შემდეგი სუბიექტების მიერ: კლიენტების მიერ - 48 საჩივარი; სასამართლოს მიერ - 1 საჩივარი, პროკურატურის მიერ - 1, ადვოკატების მიერ – 1 საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის მიერ - 22, სხვა პირთა მიერ - 2 საჩივარი.

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 34 პირის მოთხოვნა ადვოკატთა წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე და, შესაბამისად, მიიღო დისციპლინური დევნის აღძვრაზე

უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის გამო, რაც შეადგენს დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 27%-ს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრები შეეხებოდა ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, სასამართლოში ქცევის წესებისა და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის თაობაზე პრეტენზიებს, თუმცა, საჩივართა შესწავლის შედეგად არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ხსენებული პრინციპების დარღვევა.

15 საჩივარზე ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აქედან 3 საჩივარზე - წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის მიზეზით; 3 საჩივარზე წარმოება შეწყდა იმ მიზეზით, რომ ადვოკატს შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრის სტატუსი; 5 საჩივარზე - თავად საჩივრის ავტორებმა თქვეს უარი საჩივარზე, დისციპლინური საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე, 4 საჩივრის განხილვაზე თავად ეთიკის კომისიამ თქვა უარი, ვინაიდან მხარეთა შორის სადაო საკითხი არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობის 12%-ზე შეწყდა დისციპლინური წარმოება.

ეთიკის კომისიამ 18 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს, რაც საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 14%-ს შეადგენს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების დარღვევა: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დარღვევა (11 შემთხვევა), კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა საქმის მსვლელობის თაობაზე (9 შემთხვევა), ნდობის პრინციპის დარღვევა (4 შემთხვევა), სასამართლოზე ქცევის წესების დაცვა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების დაცვა (1 შემთხვევა), კლიენტის მითითებების შეუსრულებლობა (3 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა (3 შემთხვევა), ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა (3 შემთხვევა), საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მომსახურებისთვის მიღებული თანხის გამოქვითვა (4 შემთხვევა), კოლეგიალობა (2 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება (2 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხილვის კოლეგიებმა 11 საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე.

- 3 საქმეზე ადვოკატების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათი;
- 8 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება იქნა გამოყენებული.

დისციპლინური საქმის განხილვის კოლეგიის მიერ შესწავლის ეტაპზე, ეთიკის კომისიის მიერ 5 შემთხვევაში ადვოკატი იქნა გამართლებული, ვინაიდან არ დადასტურდა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა 3 გადაწყვეტილება. სადისციპლინო პალატამ 2 გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, ხოლო ერთ გადაწყვეტილებაზე შეცვლა დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა და ადვოკატს გაფრთხილების ნაცვლად მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

<u>რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები</u>

ეთიკის კომისიაში დანერგილმა სიახლემ რეკომენდაციების გაცემის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის მარტის თვიდან, უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ადვოკატთა შორის. 2015 წლის 22

ოქტომბრის მონაცემებით კომისიამ ამოქმედებიდან 104 რეკომენდაცია გასცა, მათგან 44 წერილობითი სახით, 60 კი - ზეპირი რჩევა, «ცხელი ხაზის» მეშვეობით.

შეკითხვის მოთხოვნას 15 შემთხვევაში წარმოადგენდა მატერიალური ნორმის განმარტება, 6 შემთხვევაში საპროცესო ნორმის განმარტება და 83 შემთხვევაში ჰიპოთეტურ შემთხვევაზე პრაქტიკული განმარტება.

რეკომენდაციის მიღების მსურველ ადვოკატს 5 შემთხვევაში უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე. 2 შემთხვევაში შეკითხვა უკავშირდებოდა ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებულ საქმეს, ხოლო 3 შემთხვევაში დასმული საკითხი არ შეეხებოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი

2015 წლის განმავლობაში, სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიის მიერ ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ეთიკის კომისიის წევრებმა და აპარატმა მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილების დასაბუთებულობასა და წერის მეთოდებზე სემინარში, რომელიც გაიმართა ევროკავშირის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროექტის ფარგლებში;
- ეთიკის კომისიის წევრები არაერთხელ შეხვდნენ ერთგვაროვან პრაქტიკასა თუ კომისიის განვითარებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე სამსჯელოდ დონორთა მხარდაჭერით (ევროკავშირის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროექტი, EWMI/PROLOG, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის საერთო პროექტი ,,ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა");
- ევროსაბჭოსა და ევროკავშირის საერთო პროექტის ,,ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის" ფაგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელზეც ეთიკის კომისიის აპარატმა წარმოადგინა ადვოკატთა დისციპლინური სამართალწარმოების დებულების ცვლილებებისთვის დისციპლინური წარმოების სისტემების კვლევა და მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" დებულების ხარვეზებსა და შესაძლო ცვლილებებზე;
- ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის "ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის" ფარგლებში გაიმართა პროექტის ექსპერტების მონაწილეობით მრგვალი მაგიდა, სადაც ექსპერტებმა წარმოადგინეს ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების გაუმჯობესებისთვის საკანონმდებლო კვლევა და გაიმართა დისკუსია;
- ეთიკის კომისიამ აპარატთან ერთად მოამზადა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" ცვლილებათა პროექტი, რომელიც მიღების შემთხვევაში ხელს შეუწყობს დისციპლინური წარმოების ხარისხის გაზრდას.

2015-2016 წლების დაგეგმილი აქტივობები:

- ეთიკის კომისიის წევრების მონაწილეობა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონზე მომუშავე ჯგუფში;
- უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატთა საქმის განხილვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება;
- ეთიკის კომისიის დისციპლინური დებულების ცვლილებებზე სამუშაოების ორგანიზება კანონში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით;

- ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზის, მათ შორის გამოცემების გაკეთება;
- ეთიკის კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება ადვოკატებთან;
- ეთიკის კომისიის უფლებების კანონმდებლობით გარანტირების უზრუნველყოფისთვის მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;
- ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განვითარება;
- სარეკომენდაციო ფუნქციის პოპულარიზაციისათვის სამუშაოების ორგანიზება;
- საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით ეთიკის კომისიის წევრების უცხოეთში სასწავლო ვიზიტების ორგანიზება;
- უნივერსიტეტებში ეთიკის საგნის სავალდებულო სწავლების უზრუნველსაყოფად მოქმედებების დაგეგმვა;
- ეთიკის კომისიის აპარატში საკადრო ბაზის სრულყოფა;
- ეთიკის კომისიის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის სასწავლო ცენტრთან ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ეთიკის კომისიისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობების გეგმის ფორმირება;
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების პოპულარიზაციისთვის ფორმების მოფიქრება და განხორციელება;
- პრაქტიკის განზოგადების კუთხით საერთო შეხვედრების ორგანიზება მოსამართლეებთან, პროკურორებთან;
- წლის ბოლოს მედიისთვის და დიპლომატიური კორპუსისთვის ასოციაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება;
- „ღია კარის“ დღის ორგანიზება ასოციაციაში – ექსკურსიები მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის განვითარებისათვის საგრანტო პროექტების მოძიებისა და განხორციელების ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის ოპტიმიზაციის საკითხის გადახედვა;
- ეთიკის კომისიის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ღონისძიებების მოფიქრება და განხორციელება;
- ეთიკის საკითხებზე ყოველწლიური კონფერენციის მოწყობა;
- კანონშემოქმედებით სტრუქტურებთან ურთიერთობების განვითარებისათვის მოქმედებების დაგეგმვა და ორგანიზება.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2015 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მესამე საკითხი:

მოისმინეს: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ -ლიანა მასიკაშვილმა კრებას წარუდგინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 2015 წლის იანვარ -ოქტომბრის თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მან ისაუბრა სარევიზიო კომისიისთვის განსაზღვრულ სამ ძირითად კომპონენტზე, რომელიც გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებიდან:

1.აღმასრულებელი საბჭოს და თავმჯდომარის ფუნქციონერების და მოქმედებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის საწესდებო მიზნებთან;

2. ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო/ადმინისტრაციული მდგომარეობა და საქმიანობის კონტროლი;

3. სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მიწოდება ასოციაციის საერთო კრებისათვის;

სარევიზიო კომისიამ დოკუმენტაციის სრული განხილვისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნია, რომ ასოციაციის ბიუჯეტში არ არსებობს სერიოზული პრობლემები საფინანსო/სამეურნეო თვალსაზრისით; თანხები გაწერილია მიზნობრივად და გახარჯულია დანიშნულებისამებრ. შესაბამისად, ხსენებული თვალსაზრისით, ასოციაციის მიერ განხორციელებული აქტივობები, სრულ შესაბამისობაშია ასოციაციის საწესდებო მიზნებთან;

ჩატარდა ასოციაციის 2014 წლის ფინანსური აუდიტი; წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში 2015 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

დანართი #1: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში 12 ფურცლად.

მეოთხე საკითხი:

თავმჯდომარემ კრებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მ/წ 22 სექტემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა პროფესიული წახალისების ფორმების მინიჭების წესი. მან მიმართა კრებაზე დამსწრე საზოგადოებას, მიეღოთ გადაწყვეტილება ნომინანტების დაჯილდოვების თაობაზე. თავმჯდომარემ ხსენებული წესის თანახმად, წარადგინა ადვოკატთა ასოციაციის ორდენების მინიჭების კანდიდატები და ღია კენჭიყრაზე (დამსწრე ადვოკატთა რაოდენობა 222) დააყენა საკითხები შემდეგი ფორმულირებით:

1. **ილია ჭავჭავაძის პირველი ხარისხის** ორდენის (რომლის მინიჭება ხდება 10 წელში ერთხელ) მინიჭების კანდიდატად წარდგენილ იქნას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი - ილია მეორე;

2. **ილია ჭავჭავაძის მეორე ხარისხის** (აუცილებელი პირობაა საადვოკატო საქმიანობის უწყვეტი, მინიმუმ 30 წლიანი სტაჟი) ორდენის მინიჭების კანდიდატად წარდგენილ იქნას 57-წლიანი სტაჟის მქონე, დამსახურებული ადვოკატის - ქეთევან ნადაშვილის კანდიდატურა;

3. **ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენის** (აუცილებელი პირობაა საადვოკატო საქმიანობის უწყვეტი მინიმუმ 20 წლიანი სტაჟი) მინიჭების კანდიდატებად წარდგენილ იქნენ: ქეთევან ჭაბუკიანი, რუსუდან პიტავა, ზურაბ როსტიაშვილი, თენგიზ ბეჟაშვილი, თემურ გოგსაძე, ზურაბ ტაბიძე, მარია სლაზაკი (ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების პრეზიდენტი);

4. **ღირსების ორდენის მინიჭების** კანდიდატებად წარდგენილ იქნენ: რამინ პაპიძე, თანდილა ჯოლოგუა, გელა ბერაძე, ნონა კირთაძე, მარინა მანგოშვილი, თეიმურაზ მესხი;

ღია კენჭისყრით შედეგად, საერთო კრებამ (დამსწრე ადვოკატთა რაოდენობა 222)

- **პირველ საკითხთან დაკავშირებით, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: ილია ჭავჭავაძის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,** მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესს და უნეტარესს - **ილია მეორეს;**
- **მეორე საკითხთან დაკავშირებით, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: ილია ჭავჭავაძის მეორე ხარისხის ორდენი მიენიჭოს ადვოკატ ქეთევან ნადაშვილს;**
- **მესამე საკითხთან დაკავშირებით, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი მიენოჭოთ დასახელებულ ადვოკატებს: ქეთევან ჭაბუკიანს, რუსუდან პიტავას, ზურაბ როსტიაშვილს, თენგიზ ბეჟაშვილს, თემურ გოგსაძეს, ზურაბ ტაბიძეს, მარია სლაზაკს;**
- **მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, (მომხრე 212, წინააღმდეგი 10), მიიღო გადაწყვეტილება: ღირსების ორდენი მიენიჭოთ დასახელებულ ადვოკატებს: რამინ პაპიძეს, თანდილა ჯოლოგუას, ნონა კირთაძეს, გელა ბერაძეს, მარინა მანგოშვილს, თეიმურაზ მესხს.**

მეხუთე საკითხი:

მოისმინეს: თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა კრებაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც ეხებოდა წესდების მე-11 მუხლს, **13[1]**-მუხლის 13[1]1- პუნქტს, მე-14 მუხლის 14.10 და 14.11 პუნქტებს, 21-ე მუხლის მე-15 პუნქტს; წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით:

1. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო;

2. **13[1]**-მუხლის 13[1]1- პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საერთო კრების თარიღის გამოქვეყნებიდან შვიდი დღის ვადაში ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატი ვალდებულია აღნიშნულია თაობაზე წარუდგინოს განცხადება ასოციაციის აპარატს, განცცხადება უნდა შეიცავდეს კანდიდატის სახელს და გვარს, ასოციაციის წევრის რიგით ნომერს, ინფორმაციას საადვოკატო ბიუროში საქმიანობის, პროფესიული გამოცდილების, ადვოკატად მუშაობის სტაჟის და ფაქტობრივ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს.

3. მე-14 მუხლის 14.10 და 14.11 პუნქტები ამოღებულ იქნას.

4. 21-ე მუხლის მე-15 პუნქტი ამოღებულ იქნას.

ღია კენჭისყრას ესწრებოდა 222 ადვოკატი.

კრებაზე დამსწრე წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებებს და ღია კენჭისყრით, ერთხმად

იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი დამტკიცებულ იქნას კრებაზე წარმოდგენილი სახით.

დანართი #2: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება კრებაზე მიღებული ცვლილებებით, 17 ფურცლად.

მეექვსე საკითხი:

მოისმინეს: თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი:

,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებაში (მიღებული 2006 წლის 15 აპრილს) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,მუხლი 1. დებულების მიზანი
   ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურას, ადვოკატებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ადვოკატებისათვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციის გაცემის წესს.”
2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,1. დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის და დისციპლინური კოლეგიების სხდომები დახურული. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ეთიკის კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს საჯაროდ.“
3. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,5. საპროცესო კოლეგიის სხდომები და ყველა სხვა საპროცესო მოქმედება კოლეგიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კოლეგიურად, ასევე კოლეგიის წევრთა მიერ ინდივიდუალურად. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურად. განხილვის კოლეგიის სხდომები და ყველა სხვა საპროცესო მოქმედება ტარდება კოლეგიურად, დისციპლინური კოლეგიის სამივე წევრის მონაწილეობით.“
4. მე–8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,1. ეთიკის კომისიის აპარატი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე თუ საჩივარი აკმაყოფილებს დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნებს და მიუთითოს მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.“

5. მე-14 მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი:

,,2. ადვოკატი ვალდებულია საჩივრის (მიმართვის) მისთვის გადაცემიდან კოლეგიის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება.“

6. 22-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი ამოღებულ იქნეს და ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,ბ) საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე).“

7. 22-ე მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი:
   ,,2. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ შეუწყდება ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, დისციპლინური წარმოება შეჩერდება არაუმეტეს 5 წლისა. დისციპლინური წარმოება განახლდება ადვოკატის მიერ წევრობის აღდგენისას.“

8. 32-ე მუხლი ამოღებულ იქნეს, ვინაიდან წარმოების შეწყვეტის ის საფუძველი, რომელიც მითითებული იყო 32-ე მუხლში, დაემატა დებულების 22-ე მუხლს ,,ბ“ ქვეპუნქტის სახით.

აზრი გამოთქვა ადვოკატ **მალხაზ ლაბაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ წარმოდგენილი დებულების ცვლილების 22 - ე მუხლის „ბ“ ნაწილი ჩამოყალიბდეს არა რედაქციის სახით, არამედ დაემატოს ცალკე ქვეპუნქტის სახით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირველ რიგში დღის წესრიგით წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტს დააყენებს ღია კენჭიყრაზე, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საკითხს კენჭი ეყრება მ/ლაბაძის კორექტირებით.

თავმჯდომარემ ღია კენჭიყრაზე (ღია კენჭისყრას ესწრებოდა 222 ადვოკატი) დააყენა საკითხი, ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი სახით.

ღია კენჭისყრის შედეგად, საერთო კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტი დამტკიცებულ იქნას კრებაზე წარმოდგენილი სახით.

დანართი #3: ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების დებულება, კრებაზე მიღებული ცვლილებებით, 22 ფურცლად.

მეშვიდე საკითხი:

მოისმინეს: თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2014 წლის 12 ოქტომბრის საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით მომდევნო საერთო კრებაზე უნდა მომხდარიყო მანტიის ნიმუშებიდან ერთ-ერთის დამტკიცება. თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, სურვილის შემთხვევაში ტრიბუნასთან სიტყვით გამოსვლის თაობაზე, საერთო კრების რეგლამენტით დადგენილი 3 წუთიანი ინტერვალის დაცვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წევრების მხრიდან გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები, კერძოდ: ადვოკატების **დავით ლანჩავას, მარიამ სვანიძის, სოსო ჯოგლიძის** მიერ გამოთქმულ იქნა

მოსაზრება, რომ მანტიის ნაცვლად დაწესდეს მკაცრი სტილი ე.წ დრეს-კოდი და ადვოკატები პროცესებზე გამოცხადნენ კლასიკური ჩაცმულობით. ადვოკატების **შალვა ხაჭაპურიძის, ირაკლი ზაქარეიშვილის, ონისე მარგიანის** მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ მანტია არის ადვოკატის ღირსების ერთ-ერთი გამომხატველი ნიშანი და ისინი ეთანხმებიან წინადადებას მანტიის შემოღების შესახებ.

ვინაიდან, აღნიშნული საკითხის ირგვლივ დარბაზში გაიმართა პოლემიკა და დაფიქსირდა აზრთა სხვადასხვაობა, თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა მიმართა კრებას, ღია კენჭისყრით მიეღოთ გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე.

მან ღია კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი წინადადება: 2014 წლის 12 ოქტომბრის ადვოკატთა საერთო კრებაზე ადვოკატთა მანტიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედება გადაიდოს 2 წლის ვადით და ამ პერიოდში ჩატარდეს ადვოკატთა გამოკითხვა მანტიის შემოღების შესახებ.

ღია კენჭისყრაში მონაწილეობდა 222 ადვოკატი

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2014 წლის 12 ოქტომბრის ადვოკატთა საერთო კრებაზე ადვოკატთა მანტიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედება გადაიდოს 2 წლის ვადით და ამ პერიოდში ჩატარდეს ადვოკატთა გამოკითხვა მანტიის შემოღების შესახებ.

მერვე საკითხი:

მოისმინეს: თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 31-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის 2 ადვოკატი წევრის და 3 არა ადვოკატი წევრის არჩევის შესახებ. მან განმარტა, რომ არჩევნები გამოიწვია რამოდენიმე წევრის მიერ ეთიკის კომისიის წევრობის დატოვებამ.

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 31-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის 2 ადვოკატი წევრის და 3 არა ადვოკატი წევრის არჩევის შესახებ საკითხზე დაიწყო დახურული კენჭისყრა.

ხმის დამთვლელი კომისიის მიერ დაზუსტდა დარბაზში დამსწრე წევრთა რაოდენობა, რომლის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 283 ადვოკატმა.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის - ონისე მარგიანის მიერ გამოცხადებულ იქნა სარევიზიო კომისიის არჩევნების შედეგად მიღებული შედეგები:

ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 600

გამოყენებული ბიუელეტენების რაოდენობა -283

დარჩენილი ბიულეტენების რაოდენობა - 318

გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა - 6

ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ინგა სეხნიაშვილი -93 ხმა
2. ქეთევან უტიაშვილი-94 ხმა
3. ხათუნა ფურელიანი-51 ხმა
4. ნანა ხელაია 14 ხმა

დახურული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, ეთიკის კომისიის ადვოკატ წევრებად არჩეულ იქნენ: ინგა სეხნიაშვილი და ქეთევან უტიაშვილი.

ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ნელი ვარდიაშვილი - 107
2. ნინო მიქიაშვილი -120
3. ნაზიბროლა ჯანეზაშვილი - 108

დახურული კენჭისყრის შედეგად, ეთიკის კომისიის არა ადვოკატ წევრებად არჩეულ იქნა სამივე კანდიდატი: ნელი ვარდიაშვილი, ნინო მიქიაშვილი, ნაზიბროლა ჯანეზაშვილი

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა ამოიწურა.

კრებაზე საკითხები განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტით.

18:00 საათზე კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ თავმჯდომარე